ქალაქ თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება #4-13

2009 წლის 27 მარტი

თავი IV მუხლი 25 პუნქტი

„სპეციალური ზონალური შეთანხმება“

მოსაკრებლის ანგარიში და თანხის

გადახდის გადანაწილება კვარტლების

მიხედვით

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში გლდანის რაიონში, ხერგიანის ქ,#1-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების, მოსაკრებლის განაკვეთის ანგარიშზე,

განმარტება:

(2011წლის # 21/06/2017წ ცვლილება) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების (ქალაქმშენებლობის) პირობების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე (ქ.თბილისში გლდანი ხერგიანის ქ,# 1) რომლისთვისაც განაშენიანების ინტენსივობის დადგენილი მაქსიმალური მაჩვენებლებია: (სზ-6 კ2=2,5)

ქ. თბილისის მერის 19/9/2011 წ. #2101 განკარგულებით, აგრეთვე წერილი 02/03/2015 წ, # 1703408 გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გადამეტების მიზნით, რომლის თანახმათაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზრვრა (19/9/2011 წ, #2101 განკარგულებით კ2=3,5,) ხოლო (02/03/2015წ. წერილი #1703408 კ2=4,5) რა დროისთვისაც მიწის ნორმატიული ფასი 1 კვ,მ განისაზღვრებოდა 20 ლარით.

ფორმულა:

თანახმად ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის #7-41 გადაწყვეტილებისა, მოსაკრებლის ოდენობა გამოითვლება ფორმულით

$$X=L:K2\ (K2^{1}-(K2+K2_{20\%})\ )\ x\ S$$

სადაც X არის მოსაკრებლის ოდენობა , L არის 1კვ,მ. მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი, K2 არის მიწის ნაკვეთისათვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი $K2^{1}$ არის მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი , S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართი , $K2_{20\%}$ არის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელი მოსაკრებლის შეღავათი.

ანგარიში:

$$26,208 = 20:2,5(4,5-(2,5+0,5)x2184$$

მოსაკრებლის გადასახადი შეადგენს 26,208 ლარს

თანხის გადახდის გრაფიკი

I კვარტალი----------6,552 ლარი

II კვარტალი----------6,552 ლარი

III კვარტალი----------6,552 ლარი

IV კვარტალი----------6,552 ლარი

სულ 26,208 ლარი